№ 824 შაბათი, 22 მაისი 1898–1899 შაბათი, 22 მაისი. № 824

სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
ათ.-აზნაურთ. ქარვასლა
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვე-
დ პირმართავენ რედაქციას დილის
-8 საათამდე და საღამოს 6—7
„წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.
დ-მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.
რის-პირ მოლაპარაკები რედაქ-
ტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გაზეთი

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 339

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი“
ეღირება 4 მან.

!!მიაქციეთ ყურადღება!!

ჩინეთის მაღაზია

დ. ფ. დემენტიევისა

გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის სახლი სობრანიეს გვერდზე.

იშემეთ ჩაი პირველი მოკრებისა 1898 წლისა
მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი

ჩაი და ყავა იყიდება წვრილად და პარტიოზით

ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანათზე აბაზი და საჩუქრად მი-
იღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საჭირო და საოჯახო ნივთს.

ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას
საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი

იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია
საჩუქრებისა და ნობათებისათვის

მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, ოდესაში, ნიკოლაევ-
ში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფი-
ლისში

!!მიაქციეთ ყურადღება!!

(100—27)

გაზეთ „კავკასის“ კანტორაში
ისყიდება
რუსული ახალი წიგნი
ნორ-ქალაქ
(ბინოკლისა)
წერილები უნებურად ორ-ცოლიანი-
სა და საზოგადოდ გაუფრთხილებე-
ლის კაცისა.
ფასი 1 მან., გაგზავნით
ფოსტით 1 მ. 25 კაპ. წიგნე-
ბის გამყიდველებს დაეთმო-
ბათ 25%.
ამ გამოცემის წმინდა შემოსავა-
ლი დანიშნულია გამოსახლებულ-
თა სასადილოსათვის ტფილისში.
(20—13)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავად-
მყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფ-
ნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურ-
გო ავადმყოფობისა და დედათა ავადმყო-
ფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ
მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11
საათიდგან ნაშუადღევის 3 საა-
თამდე. შინაგან და ნერვების ავად-
მყოფობას სწამლობს ს. ბ. თო-
ფურია. საქირურგო ავადმყოფობას
და სიფილისს ფ. ქ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი
ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ.
ვარშამსკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი,
საქიმო და საბაქტერიოლოგიო
გამოკვლევისათვის, ელექტრონით
წამლობისათვისა და მასაჟისათვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თო-
ფურია
Лечебница В. С. Топуріа въ Кутаисѣ

## ახალი ამბავი

*** პუშკინის დღესასწაული ტფი-
ლისის დრო გამოშვებითი გამოცე-
მათაგან. გუშინ წინ „ახ. მიმ.“ რედაქციაში მოწვეულ იყვნენ ადგილობრივი დრო გამოშვებითი გამოცემათა რედაქტორები იმის გამოსაკვლევად თუ როგორ იდღესასწაულონ პუშკინის დაბადების ასი წლის თავი. ამ კრებას დაესწრო რედაქტორები და წარმომადგენელნი ჟურნალ-გაზეთებისა: რუსულის „ახალი მიმოხილვისა“, „ტფილისის ფურცლისა“, სომხურის „მშაკისა“, „ნორდარისა“ „ალბურისა“, „ტარაზისა“, ქართულის „მოამბისა“ „კვალისა“ და „ცნობის ფურცლისა“ და დაადგინეს 1) გარდახდილ იქმნას პანაშვიდი პუშკინის სულის მოსახსენებლად 2) გაგზავნილ იქმნას გვირგვინი პუშკინის სასაფლაოზე და 3) დაარსებულ იქმნას პუშკინის სახელობაზე თანხა ასოთ ამწყობთათვის.

*** შემოწირულება მცხეთის ტაძრის განსაახლებლად. დღემდე შეგროვილა, მცხეთის ტაძრის განსაახლებლად შემოწირულობა სხვა და სხვა პირთაგან 34,074 მ. და 32 კაპ.

*** რკინის გზის დათვალიერება. ამიერ-კავკასიის რკინის გზის მართველი ბ-ნი ვედენიევი და ინჟენერი მარსკი და მთავარი კონტროლერი ვლადიმიროვი და გემბსკი გუშინ წინ გამგზავრებულან ამიერ-კავკასიის რკინის გზის დასათვალიერებლად და სარევიზიოდ.

*** ყოვლად სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრეს ჩამობრძანება. როგორც გვაუწყეს გუშინ დილის მატარებლით შიო მღვიმის მონასტერში ჩამობრძანებულა ფოთიდგან ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი ალექსანდრე და როცა აბრძანებულა შიოს მონასტერში იქვე მიეგება მათ მეუფებას ეპისკოპოსი გორისა ლეონიდი, და დიდი მხიარულება უგვრძნია მხცოვან მწყემსთ მთავარს თავის შრომა და ღვაწლით განახლებულ მონასტრის დანახვაზე.

*** კაცის დაჭრა დანით. თელავის მცხოვრებ გრიგოლ ვახტანგოვს რაღაც ანგარიშების გულისთვის დანით დაუჭრია სიღნაღის მცხოვრები მნაცაკანა ზაქაროვი. დამნაშავე შეიპყრეს და დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს

*** ახალი წიგნაკი. ჩვენ მივიღეთ „მორჩილის“ რაჟ. ბარამძის მიერ გამოცემული პატარა წიგნაკი „ცხოვრება წმ. ქალწულ მოწამის მარინესი“ გადმოღებული მ. შარაძის მიერ. წიგნაკი შეიცავს 24 გვერდს, ბოლოში დართული აქვს ხუცური და მხედრული ანბანი და ციფრები. ღირს 5 კ.

*** ს. ალავერდი (სამეგრელო)-დღეობა. ამ სოფელში ყოველ წლობით 23 აპრილს იციან ტაძრის წმიდის გიორგის დღეობა. წრეულსაც ჩვეულებისამებრ აღსრულდა ეს დღეობა. მაგრამ, მკითხველო, იქონიე სახეში, რომ აქაური დღეობა სხვა სოფლების დღეობისაგან ბევრით განირჩევა. ამ დღეს აქ იკრიბება დიდძალი საზოგადოება იმიტომ, რომ როგორც თვით ეკლესია შენობით და მორთულობით შესანიშნავია, აგრეთვე წირვაც სრულდება ქალაქურის წესით. მაგალ: შიგ რამდენიმე მღვდელია მწირველი, ორი-სამი გუნდი გალობს ქართულად, ხალხით გაჭედილია და ნამდვილ რომელიმე ქალაქელ ტაძარს მოგაგონებს იქვე ეკლესიის ახლო ბაზრობაა, ყიდვა-გაყიდვა და იქვე ახლო ცხენებზე თამაში: ჯირითობა, მკერდზე მისვლა, (მოკლე მარულა) და სხვანი. ეკლესიაში წირვის (განიცადეს) დროს ადგილობრივი მღ. ალავერტის ოლქის ბლაღოჩინის დეკანოზი. მ. გიორგიბერიძის მიერ წარმოთქმულ იქმნა სიტყვა, რომელმაც საზოგადოებაზე დიდი ზედ გავლენა იქონია.

სიტყვა, თქმული ალავერტის წმინდის გიორგის ეკლესიაში 23 აპრილს 1899 წ. ბლაღოჩინი დეკანოზი ბერიძის მიერ.

„ძმანო მართლ-მადიდებელნო, ქრისტიანენო! დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ წმიდის მთავარ-მოამის და ძლევა-მოსილის წმ. გიორგის დღეობას. ჩვენ შევკრებილვართ დღეს ღვთის ტაძარში მისთვის, რათა პატივი ვცეთ ხსენებასა მისსა და აღვავლინოთ მის

დამო ჩვენი მხურვალე ლოცვანი და ვედრებანი, რა თუმცა წინაშე ღვთისამეოხ გვყოს ჩვენ. შემდეგ წმიდა ჩვენის ლოცვისა საზოგადო დასატკბობლად ჩვენდა და პატივად წმიდის გიორგისა მე მსურს მივაქციო თქვენი ყურადღება შემდგომზე: მე არა ერთხელ მითქვამს და ხშირად მქონია ბედნიერი შემთხვევა გამეცნოთ თქვენ ისტორიულად ამ წმ. დიდი მოწამე და ძლევათ მოსილი გიორგის ვინაობა და სადაობაზე, და მე დარწმუნებული ვარ, იმეტესმა, თქვენთაგანმა კიდეც იცის ვრცლად ცხოვრება და ღირსება მისი. მაშ ახლა საჭიროა გავსინჯოთ სხვაფრივ მოღვაწეობა და მნიშვნელობა მისი: თქვენ, რასაკვირველია, ჰხედავთ თუ როგორ არის დახატული (დასახული) იგი ხატზე. წმ დიდი მოწამე და ძლევა მოსილი გიორგი დახატულია მჯდომარე ცხენზე, სახედ მხედრისა‘ რომელსაც ხელში უპყრია ლახვარი, ცხენის ქვეშ გამოხატულია გველეშაპი, რომლის პირში ჩარჭობილია ლახვარი წმ. გიორგისა, ხოლო მახლობლად წმ. გიორგისა მდგომარე არის ქალი. რისთვის არის დახატული წმ. გიორგი? რა უნდა შევისწავლოთ ჩვენ, შემხედველთა მისის ხატისა? წმ. გიორგის სასწაულთ-მოქმედების აღწერილობაში აი რა არის ნათქვამი: მახლობლად იმ მამულისა, სადაც შობილიყო წმ. გიორგი, ე. ი. სიროფინიკიის მხარეში, ქალაქსა შინა ვირიტს, იყო ერთი დიდი ტბა, რომელშიაც ცხოვრობდა უშველებელი და უჩვეულო გველეშაპი; ეს გველეშაპი ამოდიოდა ხოლმე ამ ტბიდან შთანთქმიდა ერთა-ხალხთა მცხოვრებთა. შემდეგ მიდიოდა ქალაქის შენობის კედლებში და იქ ამოათხევდა თავის შხამს, რომლითაც იშხამებოდა ჰაერი და მის გამო მრავალი ხალხი იხოცებოდა. მრავალჯერ ხალხი აღიჭურვა წინაამდეგობისა, მოინდომეს მოკვლა იმ გველვეშაპისა, გარნა დარჩნენ უღონონი და უსუსურნი. დიდი შიში და ვაება დაეცა ამ მხარეში; ტირილი ვაება და გამოუთქმელი სატანჯელი დაადგა ქალაქს. ერთს დღეს მივიდნენ მთელი ხალხი მეფესთან და მოახსენეს მეფეს: რა ვქნათ, ყველა ვიღუპებით ამ უბედურებისაგან და გვიშველეთ რამეო. (მცხოვრებნი ამ ქალაქისა იყვნენ წარმართნი და ამის გამო მათი მეფეც იყო წარმართი). მეფე წარმართმა უბრძანა მათ: მე დავეკითხები ჩემს ღმერთებს, კერპებს და რასაც ისინი მიბრძანებენ, თქვენ გამოგიცხადებთო. მეფის კითხვაზე ამ კერპებში ჩამალულ მარჩიელებმა მისცეს პასუხი მეფეს, რომ თითოეულმა მცხოვრებთაგანმა რიგრიგობით ამ გველეშაპს მისცენ შესაჭმელად თითო შვილი ქალი, ან ვაჟიო. ამაზე ყველანი დასთანხმდნენ და მეფემაც თავისის მხრით გამოაცხადა სურვილი, რომ როცა მაზე მოაწევს რიგი, ისიც შეასრულებს ამ ვალდებულებას და შესწირავს თავის მხოლოდ შობილ ქალიშვილს. ამ დროიდან ხალხმა რიგრიგობით დაიწყო მოყვანა თავიანთი შვილების ამ ტბის ნაპირზე, საიდამაც ამოდიოდა და ყლაპავდა მოყვანილ მსხვერპლებს. ბოლოს რიგი მეფემდის მიაღწია. მეფემ მოიხმო თავისი მხოლოდ შობილი ქალი და უბრძანა მას, ჩაიცვას რაც უძვირფასესი სამეფო ტანისამოსი აქვს. შვილმა შეასრულა ბრძანება მამისა გამოეწყო, მივიდა მამასთან. მამამ იტირა, იჟივლა, იკივლა, ვაი-ვაგლახით გამოეთხოვა თავის ერთა ქალიშვილს და გაგზავნა გველ ვეშაპის მსხვერპლად. ქალიშვილი მივიდა ტბის ნაპირზე თუ არა, დაიწყო ტირილი და ამ ცრემლის ქვეშ ულოდინებდა იგი გველ ვეშაპის ამოსვლას ტბისაგან და შთანთქმას. ამ დროს ღვთის განგებით გამოეცხადა მას დიდი მთავარმოწამე და ძლევა მოსილი გიორგი როგორც ჩვენ ახლა ვხედავთ დახატულს სახედ მხედრისა, მჯდომარე ცხენზედ, ხელთა შინა მპყრობელი ლახვრისა. მივიდა იგი ამ მეფის ქალიშვილთან და ჰკითხა: რისთვის სდგახარ აქ ვის, ულოდინებ და ან რა-გატირებსო? ქალწულმა ყველაფერი უამბო თავისი და ამ გველ-ვეშაპის გარემოება და თავისი თავ-გადასავალი. წმინდა გიორგიმ დაანუგეშა იგი და უთხრა: ნუ გეშინიან, ღვთის სახელით და შემწეობით მე თქვენ გიხსნით ამ განსაცდელისაგანო. ამ დროს ამოვიდა გველ-ვეშაპი ტბისაგან და მიუახლოვდა ქალწულს ჩასაყლაპავად. წმიდა დიდი მოწამე გიორგიმ დაიწერი პირჯვარი და სთქვა: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“. მოიქნია ლახვარი, ჩაჰკრა გველ-ვეშაპს დაღებულ ხახაში და დასცა მიწაზედ, ხოლო წმიდის გიორგის ცხენმა დაუწყო მას ფეხებით ცემა-სრესა და გველ ვეშაპი დაიმორჩილა. წმიდა გიორგიმ უბრძანა ქალწულს, რათა შეაბას სარტყელი მაგ წყეულს და მიჰგვაროს ქალაქსა. ქალწულმა შეასრულა ეს ბრძანება და წმიდა გიორგიც თან გაჰყვა. ხალხმა შეჰხედა თუ არა ამ სასწაულთ-მოქმედებას, შიშისაგან გაიქცნენ, გაიფანტნენ და ზოგი ერთი მთლად გადავარდა შორს. წმიდა გიორგიმ უბრძანა ხალხს: თქვენ ნუ გეშინიანთ ამისი, გეშინოდნენ ღვთისა, სასოებდეთ უფალსა ჩვენსა იესო ქრისტეს, რომელმანაც მე მომავლინა მხსნელად თქვენდა გველვეშაპისაგან. შემდეგ თვით წმ. გიორგიმ მოჰკლა გველ-ვეშაპი იგი საშუალ ადგილას ქალაქისა თავისის ლახვრით და ხალხმა გაძაათრია იგი ქალაქს გარეთ შორს კუნძულზედ და იქ ცეცხლითა დასწვეს. დაუგვიანებლად თვით მეფემ და მთელმა მცხოვრებმა იმ ქალაქისამ რიცხვით ოც-დახუთასმა კაცმა, გარდა დედაკაცებისა და ყრმებისა, ირწმუნეს უფალი ჩვენი იესო ქრისტე და მიიღეს მმართლ-მადიდებელი სარწმუნოება წმიდის ნათლის ღებითა.

აი: ძმანნო, მმართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო! ამ ცხოვრების აღწერისაგან წმიდის მოწამის და ძლევა მოსილის გიორგისა სასწაულთ მოქმედებაზე ჩვენ შევიტყვეთ თუ რისთვის არის წმ. გიორგი დახატული ხატზე სახითა მხედრისათა, მჯდომარე ცხენზედ, ან რისთვის უპყრავს მას ხელთა ლახვარი, ჩარჭობილი გველ-ვეშაპის პირში და რისთვის არის მახლობლად წმიდის გიორგისა, მდგომარე ქალი. ახლა სხვაფერ მივაქციოთ ჩვენი ყურადღება ამ სასწაულ მოქმედების აღწერას წმიდის გიორგისას და გარდა უბრალო ცხოვრების აღწერილობის ცოდნისა,, ზნეობითი ცოდნა და სწავლა გამოვიყვანოთ, რომელიც იქნება სასარგებლო, არა თუ ამ წუთის-ცხოვრებისათვის, არამედ საუკუნო ცხოვრება და ცხონებისათვის. პირველი საგანი, რომელიც ღირსია ჩვენის ყურადღებისა არის ის, რომ წმიდა მოწამის გიორგის დროს მისს სამშობლო ქვეყანაში მძვინვარებდა ერთი უსაშველო ვეშაპი, რომელიც ასობით და ათასობით ასალმებდა წუთი სოფელს მცხოვრებლებთ. თუმცალა ათას ექვსას წელმა განვლო მას აქეთ, მაგრამ ჩვენ ეხლაც არა ვართ თავისუფალი ამ საშინელი კაცობრიობის მტერისაგან, თუმცალა იმ გველ-ვეშაპს მოუსპო სიცოცხლე ძლევა მოსილმა წმ. გიორგიმ, მაგრამ იმაზე უსაშინელესი არის ჩვენში დაბუდებული ეშმაკი უხილავი, რომელიც გვისპობს ჩვენ, არამც თუ ამ წუთი-სოფლის სიცოცხლეს, არამედ თვით საუკუნო ცხოვრებას და ცხონებას. ის გველ-ვეშაპი, რომელზედაც წმ. გიორგის ცხოვრების აღწერა მოგვითხრობს, მძვინვარებდა და მუსრავდა უსჯულოთ მხოლოდ რამოდენიმე წელს, ეს ვეშაპი-ეშმაკი, რომელიც ეხლაც არის ჩვენში დაბუდებული, მძვინვარებს და გვღუპავს ჩვენ აგერ რვა ათასი წლის განმავლობაში. სწორეთ იმ დროიდან, როცა ჩვენმა პირ-
ველმა წინაპრებმა ადამ-და-ევა
შესცოდეს ღმერთს, [illegible] წარმო-
დგინეთ, ძმანო ჩემნო, თუ რამდე
ნი ჩვენი მოძმეთაგანი იქნება დ
ღუპული ამდენი ხნის განმავლო
ბაში ამ ჩვენის მტრის-ეშმაკისა
გან. წარმოიდგინეთ რამდენა
საშიშარი და საშინელი უნდა იყო
ჩვენთვის იგი. აგრეთვე ეხლა
არის ტბა, რომლისაგან ამოდი
გველ-ვეშაპი. რაი არს ეს ტბა?
არის ჩვენი ცოდვები, ჩვენი ც
დი საქმეები, რომლისაგან გამო
დიან ეშმაკნი და გვღუპვენ ჩვენ
რომლებიც გვიკარგვენ ჩვენ საუ
კუნო ცხოვრებას და სასუფეველ
სა ღვთისასა.

ახლა, ძმანო ჩემნო, მივაქციო
ყურადღება იმას, თუ რა ზომებ
უნდა ვიხმაროთ ამ გველ-ვეშაპი
ეშმაკის წინაამდეგ, რომ მას ა
შეეძლოს ჩვენი ასე საშინლად დ
მარცხება და დაღუპვა. წმ. მოწ
მე გიორგის დროს ურჯულო
მიჰმართეს რჩევისათვის კერპ
და მათში დამალულ მარჩიელებ
ჩვენ კი, როგორც მმართლ მადი
დებელნი ქრისტიანენი, ნუ მ
ვიქცევით ასე, ნუ მივმართავ
მარჩიელს მკითხავს, როგორ
ბევრნი ჩვენთაგანი შვრებიან, რ
ცა რაიმე უბედურება შეემთხვ
ვათ ხოლმე, არამედ მივიქცე
დეთ ლოცვითა და ვედრები
ჩვენს და ჩვენის ეკკლესიის მფა
ველი წმ. გიორგისა, რომელი
ეხლაც არის შემწე, ჩვენი მფა
ველი ღვთის წინაშე, რომელი
ყოველთვის მზათ არის შეგვ
წიოს და მოგვეხმაროს ი
როგორც მოეხმარა და უბედურ
ბისაგან დაიხსნა მან სიროფი
კიის მეფის ქალიშვილი, თუ
ჩვენ მას ნამდვილის გულით
იმედით ვსთხოვთ ამა თუ
საქმეში დახმარებასა. დარწმუ
ბულიც უნდა ვიყოთ, რომ,
კი მან სიკვდილისაგან დაიხს
არა ღვთის მორწმუნე, ურჯუ
კაცის შვილი, მით უმეტეს
ვიხსნის ჩვენ ნამდვილ ქრის
მორწმუნეთ და მოყვარულთ.
კი ჩვენ, რომლებიც შევკრებ
ვართ წმინდა გიორგის სახე
სადიდებლად და სალოცავად
ტივ საკემლად მისსა უნდა მო
მედოთ ისეთი საქმენი, რომელ
მას უყვარდა და ყოველთვის
რულებდა. ესენი არიან: ლოც
ეკკლესიის შეწირვა, გლახა
შეწყალება, სიმშვიდე ურიგ
სიყვარული და სხვა მრავალი
თილი საქმეები. აი ამით ჩვენ
სიამოვნებთ და ვადიდებთ წმ
გიორგის ხსენებას ღ ჩვენც არ
ვაკლებ ღვთის წყალობას ამ

გურულ-მღვდე

*** **ტყვიავი.** (ქართლი) ს
ზღარი მკვლელობა. ორშაბათს

ას, გორის მაზრაში, სოფელ
ყიავში მოხდა ერთი საშინელი
ელლობა. სპარსეთის ქვეშევრ.
მმა იმამკალ მუსტაფა ოღლიმ
მეე დასჭრა თავის პატრონი
ელი გუსეინ შერიოღლი და-
თ.

გუსეინი დადიოდა სოფელ-სო-
ლ სიმღერით და თან დაჰყავდა
ჯამაგირე მუსტაფ ოღლი შექ.
ფილი ფქვილისა და სხვა სანო-
ვის საზიდავათ. ორშაბათს ტყიავ-
, რომ მორჩნენ თხოვნას, გაემ-
ავრნენ ს. კარბისკენ. ცოტა რომ
არეს და ვენახებს მოეფარნენ,
ვე გზის პირას გუსეინ ოღ-
ის დასძინებოდა და იმამკალ
სტაფ ოღლის განეძრახა სიკვდი-
ი თავის პატრონისა, რადგან
კოდა რამდენი ფულიც ჰქონდათ
აგროვილი თხოვნით. აელო ჯერ
ა დაერტყა თავში. ქვისაგან და-
ეტიინებულისთვინ ამოეღო ჯი-
ს დანა და გამოეჭრა ყელი, ასე
ომ ყანყრატო სრულებით გაჭ-
ლი ჰქონდა, ხოლო სასულე
ონდა დარჩენილი მთელი; ყელის
მამჭრელს უფიქრია, ეს ხომ მოკ-
აო და მაშინვე რაც ფული ჰქონ-
შაეჭრა დანით და დაეშვა ქ-
რისკენ.

ერთს გორიდგან მომავალს ყმა-
ილს კ. ელიოზოვს ენახა, რომ
ლ გამოჭრილი თათარი ჰგდია
ხელით ანიშნებს და სთხოვს
მწეობას; მაშინვე. დაბრუნდა ეს
აწვილი გზიდამ და შეგვატყობი-
, მაშინვე წავიყვანეთ ხალხი და
ჭრილი ჩამოვიყვანეთ ტყიავში;
უმც ლაპარაკი სრულებით არ
ეძლო, რადგან ყანყრატო სრუ-
ებით გამოღადრული ჰქონდა,
გრამ ხელით ისე გვანიშნა, რომ
ვილად მივხვდით რომ თავისი
ჯამაგირისაგან იყო ყელ გამო-
ილი. რადგან ერთი ორი სა-
ის წინეთ ერთათ დადიოდ
ნ სოფელში სათხოვნელად
მინვე მივმართეთ ამ ყმაწვილს,
ლიოზოვს, რომ დასდევნებოდა იმ
ლის გამომჭრელს იმამკალ-მუს-
ფ-ოღლის და დაეჭირა. ბევრი
ხოვნის შემდეგ ელიოზოვს მეტი
ონე არა ჰქონდა გააჭენა ცხენი
აჩქაროთ და როგორც მიეტანე-
ნა ს. კარალეთისთვინ და დას
ვოდა ყელის გამომჭრელს შეუ-
ევია ყმაწვილს, ხანჯლით შეში-
ბული თათარი გაჩერებულიყო,
ემინჯა რაც მოტაცებული ფუ-
ი ჰქონდა, წაერთმია და გამოე-
ზავრებინა ტყიავისაკენ, მაშინ
თარს ენიშნებინა, რადგან თა-
არმა ქართული არ იცოდა და
ევარმა თათრული, რომ ზურგ-
ი გუდა მკიდია, ამაშიაც ფული
ქვსო, ამასაც შენ მოგცემო და
გამიშვიო. ამ ილიოზოვს მაშინვე
ჯლის წვერით აეჭრა ეს გუდა და ფული ხელუხლებლათ და თათარიც მოიყვანა სოფელში, დაუძახეთ ნაცვალსა და დამნაშავე დავაპატიმრებინეთ. მაშინვე გავგზავნეთ კაცი ფულის აღმოსაჩენათ მოვიწვიეთ ცხინვალიდამ ფერშალი ძუწოვი, რომელმაც გაუკერა და შეუხვია, ისე რომ მანამ მეორე დღეს დილით მეჯრუხევის ბოკაული მგალობლიშვილი გადმოვიდოდა სანამ ყელ გამოჭრილმა დაიწყო ნელ-ნელა დაბალის ხმით ლაპარაკი. ბ-მა მგალობლიშვილმა შეადგინა ოქმი და გადასცა გორის გამომძიებელს, და მასთან ერთად ყელის გამომჭრელიც; თუ მალემახწევინეს თბილისის საავადმყოფოში თათარს, იმედია იგი გადარჩეს ამ საშინელი ჭრილობიდამ.

ტყიაველი

## ქართველები ციმბირში*).

ეხლა დრო რამდენადაც შეიძლება გავაცნო მკითხველთ ციმბირი და აუხსნა მათ, თუ რა არის ეს ქვეყანა.

ციმბირს თუ შეიძლება სთქვას კაცმა ასე, „მომიხმარე“ ჰქვიან. ვინც ციმბირს მოიხმარს, ის ჭეშმარიტად კმაყოფილი დარჩება მაზედ და ვინც ვერ მოიხმარს იმან თავის თავს დააბრალოს ყოველის ფერი. ციმბირი არის ყოვლისფრით გალაღებული ქვეყანა, მასთან შეუდარებელი ჰავით, შეზავებული სასმელ-საჭმლის სიიაფე ენით გამოუთქმელია. მოვიყვანდი ფასს ყოველ თვითოეულ საგანზედ, მაგრამ რაკი ეს ბევრისთვის დაუჯერებელი იქნება, ამისათვის არა ვწერ. რაღა ბევრი გავაგრძელო, რომ ზოგიერთ ციმბირის მხარეში მარტო ნადირის ხოცვის მეტი არაფელი მიირთვა, ამ შემთხვევაშიაც, ჩვენ ქვეყანაში ლობიოზედ ხარჯი, რომ გაგივა კაცს, იმაზედ უფრო იოლათ გამოხვალ. პური, ხორცი, ყველი, რძე, თევზი და სხვა საჭირო სანოვაგენი ყოველგან აუარებელია. შიგ ირკუტსკში და ახლომახლო ადგილებში, სადაც აქ დროებით რკინის გზის მუშაობაა, ცოტა სიძვირე კია სასმელ-საჭმლის, მაგრამ ეს დროებითაა და მოკლე ხნის შემდეგ ეს გარემოება ისევ თავის წრეში ჩადგება.

რაც შეეხება ჰაერის თვისებას და მის ზედ გავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზედ, ეს ენით გამოუთქმელი რამ არის. რა ავადმყოფი უნდა იყვეს, რომ აქაურმა ჰაერმა არ განკურნოს. ორგვარი სნეულებითი შეპყრობილი ადამიანისთვის: სიფილისით და ჭლექით აქაური ჰაერი ძნელი ასატანია. დანარჩენი ავადმყოფობა, რომელიც ჩვენში თითქმის ყოველგან არის: ციებ-ცხელება, ჩუმი ციება, ბუასილი და სხვა, არა თუ არის აქ, არამედ ყველა ამეებით შეპყრობილი და ჩამოსული, აქ სამუდამოდ თავისუფლდება და რჩება. ქართველი კაცი აქ თუ თავდაჭერილათ ცხოვრობს, პირშაოობას და სხვა გარყვნილობას მორიდებულია, მაშინ მისი მდგომარეობა სანატრელია. ამ დროს მისი სიცოცხლით სავსე სახის შეხედვა, ყოველისფერ სიმშვენიერეზედ შეუდარებელია. და თუ ადამიანმა თავი არ შეიკავა და მოუთმენლათ იცხოვრა, მაშინ კი საშიშია მისი მდგომარეობა.—ნამეტნავათ ჩვენი კაცი რაკი ფაქიზია სხვა ერის კაცზედ, ერთ დღეს შეუძლია თავი დაიღუპოს. მისთვის ღირს მძიმედ დათვრეს, ზამთრის ღამეში გარეთ, ანუ უცეცხლო ბინაში დარჩეს და მშვიდობით საუკუნოთ. ბევრია თურმე უბედური ქართველი ამ შემთხვევის მსხვერპლი და ღმერთმა იცის როგორ და როდის მოეღება ბოლო ამ უბედურებას ამისთანაა ციმბირის ქვეყანა და ჰაერი ჩვენი ქართველებისათვის.

ხალხი ძალიან აჭრელებულია ციმბირში, რა რჯულის და ერის კაცი გინდა აქ არ ცხოვრობდეს. შესანიშნავი ის არის, რომ ათასში ერთი ერიოს ქართველი, ის იმათში მაშინათვე გამოიცნობა და შეატყობ, რომ ჩვენებურია. ქართველები აქ უფრო ყურადღებას იქცევენ ვიდრე სხვა ერის კაცი. ჩვენ კაცს მართლაც ჩერქეზებს ეძახიან და ამისათვის მართლმადიდებელნი თუ არიან არ გონიათ რადგანაც იციან, რომ ჩერქეზები ქრისტიანები არ არიან, ეხლა კი გაიგეს, რომ „გრუზინებიცა“ არიან და „გრუზინი“ და ჩერქეზებ შორის გარჩევაში შედიან. „გრუზინები“, რომ ქრისტიანები არიან კი იციან და მორიდებითაც ეპყრობიან. დაბალი ხალხი მართლაც დიდათ ერიდება ყველა კავკასიის ერის კაცს, მათ გონიათ, რომ ჩერქეზები დიდი შეუბრალებელი ხალხია და უბრალო რამეზედ ვითომც მზათ არიან მოკლან კაცი. ორი ანუ სამი ჩერქეზი სადაც არი, იქ სხვა ერის კაცი ბევრიც იყოს ჩხუბს ვერ გაუბედავს მათ და თუ ჩხუბი აუტყდათ, მაშინ ჩვენი კაცის მდგომარეობა საშიშია. ამ შემთხვევაში ჩვენი კაცი აუცილებლათ უნდა მოკლან, თუ რამე შემთხვევით არ გადარჩა. იციან, თუ ცოცხალი გადაურჩათ, მერე ჯავრს იყრის მათზედ ჩერქეზი და ცოცხალი არ გადურჩებიან მისი მოჩხუბრები. თუ ჩვენი კაცი გაილახა სადმე, ვაი იმის გამლახველს, უნდა მოშორდეს ყველა იმ ქვეყანას, თორემ ერთად მოჩხუბრების ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია. კავკასიის ერის კაცთაც აქვთ ერთმანეთში გარჩევა. ჩაჩნები, ლეკი და შახის კაცები, რომლებიც დიდი მოშურნენი არიან სხვა ერის კაცებისა და ბუზადაც არავის აგდებენ, დიდი პატივის ცემა აქვთ ქართველებისა. ესენი ყველა ქართველებს „გურჯს“ ეძახიან და ძალიან მორიდებით ექცევიან მათ. თუ შეიტყვეს, რომ ვინმე „გურჯია“ მაშინ ისინი მისი უმორჩილესი ყმები არიან, ყოვლად შეუძლებელია მათი საწყენი რამე ჩაიდინონ, ან და სადაც „გურჯია“ იქ მეტიჩრობა გამოიჩინონ. ამნაირ მდგომარეობას, რომელშიაც არიან ქართველები თითქმის ყველა ერისაგან, კარგათ გრძნობენ ჩვენები, მაგრამ საუბედუროთ ვერ იფერებენ და ზომაზედ მეტი სიამაყე და თავ გასულობას იდგანან. ეს გარემოება დიდს დაბრკოლებას გვაძლევს ყველასთან და ყველგან ყველა ჩვენებს. ყოველ შემთხვევაში კარგი ის არის, რომ ქართველებს საზოგადო საქმეში ძალიან გატანა აქვთ ერთმანეთის. ამ შემთხვევაში ერთი ყველასთვის და ყველა ერერისთვის. რაც შეეხება ზნიაურობაში, სწორეთ აქ მე არ ვართანხმა ბ-ნ ლიხელის. შური, გაუტანლობა და სხვა მსგავსი ბოროტება, საუბედუროთ, როგორც ჩვენს ქვეყანაში, არც აქ არის დავიწყებული, მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ აქ უფრო დამალულათ არის და სხვის შეუმჩნევლათ ეს ჭირი. თითო-ოროლა კარგი და ყოვლის ფერში გამოსადეგი ყმაწვილები, როგორათაც გიორგი ჯაყელი ტომსკში, რომელსაც მე ძლიერ კარგათ ვიცნობ, მიხეილ ქუთათელაძე კრასნოიარსკში პლატონ დადიანი და ყარამან ტუსკია ირკუტსკში, კი ურევია ჩვენები, მაგრამ სასურველი ის არის, რომ ბევრნი იყვნენ მაგისთანები, მეტადრე იქ, სადაც საჭირო არიან გაჭირვებული ქართველებისთვის და ბევრი მიბაძავდნენ მათ მოქმედებას.

ფარნა გეგელია.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ცნობ. ფურც.“ № 823.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

19 მაისი.

**პარიზი**. დრეიფუს-ს საქმე. ბალლო ბოპრემ დაამთავრა იმ საბუთების ჩამოთვლა, რომელნიც საქმის ხელ-ახლა განხილვის წინააღმდეგია. შემდეგ დაუმატა, მორნარი და მთავარი პროკურორი მანო იმ აზრისა არიან, რომ საქმე

განახლებულ უნდა იქმნასო. ბალლო-ბოპრემ წაიკითხა საბრალმდებლო წერილი მანოსი, სადაც აღნიშნულია ათი ისეთი ახალი საბუთის ქაღალდი, რომელთაც შეუძლიან დაამტკიცონ დრეიფუსის სიმართლე. საქმის ხელ-ახლა განხილვას ხელს ვერაფერი შეუშლისო, ჩემის აზრით,—სთქვა ბალლო-ბოპრემ—მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ნაწერის ხელს, ქაღალდს და იმას, დაწერილია ბორდერო დრეიფუსის, თუ ესტერგაზის მიერ. კარგად შესწავლის შემდეგ მე დავრწმუნდი, რომ ბორდერო ესტერგაზის დაწერილია. მომხსენებელი ამბობს, რომ პოლმეიერი და მოლინიე ამავე აზრისანი არიანო, „ალიაქოთიო“—სთქვა დასასრულ მომხსენებელმა,—რომელიც დრეიფუსის საქმემ გამოიწვია, ამტკიცებს, რომ ეს საქმე არა ჩვეულებრივია. საქმის ხელ-ახლა განხილვის მომხრეთ უსამერთლოთ გაჰკიცხეს სასამართლო. ჯარი იმდენად მაღლა სდგას, რომ იგი ჩვენის მსჯელობის საგანს არ უნდა შეადგენდეს. ჯარის პატიოსნება არ მოითხოვს, რომ უდანაშაულო კაცი ეშმაკის კუნძულზედ დარჩეს. მე არა გთხოვთ თქვენ,—გამოაცხადოთ, რომ დრეიფუსი უდანაშაულოა. მე ვამბობ, უნდა გადასწყვიტოთ, რომ საქმე ხელ-ახლა იქმნას განხილული და გადასცეთ დრეიფუსი ისეთს სამხედრო სასამართლოს, რომელსაც შეეძლოს მიუდგომელი და ჭეშმარიტი განაჩენი დაადგინოს“ (ტაშის ცემაა) მთავარმა პროკურორმა თავის დასკვნა წარმოსთქვა. იგი ამტკიცებს, რომ ერთად ერთი ჩემი სურვილი სიმართლის აღმოჩენა არისო. ბორდერო აგვისტოშია დაწერილი და არა აპრილშიო, როგორც საბრალმდებლო ოქმშია აღნიშნული, ამბობს იგი, მანო სცდილობს შემდეგ დაამტკიცოს, რომ ბორდერო ესტერგაზის დაწერილია. 1894 წლის ექსპერტიზა შემცდარი იყო და შეეძლო 1897 წლის და აგრეთვე 1894 წლის სასამართლოს წევრებიც შეცდომაში შეეყვანა. მანო ხვალ განაგრძობს ლაპარაკს.

**პარიზი.** ანტი-რევიზიონისტთა გაზეთები ამბობენ, რომ ბალლო-ბოპრე მიუდგომელი კაცი არა ყოფილაო.

**ჰააგა.** დღეს გამოქვეყნებულ იქმნა რუსეთის წინადადება სამედიატორო სასამართლოს შესახებ. წინადადება დამყარებულია შემდეგს საფუძველზედ: თუ იმ სახელმწიფოთა შორის, რომელთაც ხელ-შეკრულებაზედ ხელი უწერიათ, უთანხმოება მოხდა, მათ იარაღის აღებამდე უნდა მიჰმართონ მოსარიგებლად ერთს ან რამდენსამე სხვა სახელმწიფოს. თუ უთანხმოების საგანი პოლიტიკურის ხასიათისაა, მაშინ სხვა სახელმწიფოთ შეუძლიანთ თავისით ჩაერივნენ საქმეში და მეგობრულის მორიგების წინადადება მისცენ. სამედიატორო სასამართლო ნამდვილ ამ ჭეშმარიტ საშუალებად არის მიჩნეული უთანხმოების ასაცილებლად. სახელმწიფოთ პირობა უნდა დასდონ მიჰმართონ ხოლმე სამედიატორო სასამართლოს, თუ სადავო საქმე საერო ინტერესებს არ შეეხება. ამას გარდა სახელმწიფოთ ერთმანეთ შორის შეუძლიათ პირობა დასდონ იმისა, რომ სამედიატორო სასამართლო სავალდებულო იყოს.

**პარიზი.** საკასაციო პალატა. სხდომა დაიწყო 11 საათ. 5 წუთ. მანომ განაგრძო თავისი დასკვნა. იგი ამტკიცებდა, რომ ის წერილები, რომლის ავტორადაც თვით ესტერგაზიმ თავისი თავი სცნო, დაწერილია ისეთივე ქაღალდზედ, როგორზედაც ბორდეროო. მანომ დაუმატა, რაკი ბორდეროს საქმის შესახებ ესტერგაზი გამართლებულ იქმნა, ამიტომ არ შეიძლება მეორედ სამართალში იქმნას იგი მიცემულიო. რაც შეეხება დრეიფუსს, მანო იმის გამართლებას-კი არა თხოულობს, არამედ იმას ამბობს, რომ არის საკმაო საბუთები, რომელნიც საეჭვოდ ჰყოფენ 1894 წლის განაჩენსაო.

**პარიზი.** ასსიზთა სასამართლო. დარბაზი ხალხით იყო სავსე. მთავარმა ბრალმდებელმა განაცხადა, საქმე იმას-კი არ შეეხება—კარგი კაცები არიან თუ არა დერულედი და გაბერი, არამედ იმას,—ჩაიდინეს თუ არა მათ ისეთი დანაშაული, რომელიც სასჯელს მოითხოვსო, შემდეგ იგი საქმის ფაქტიურ მხარეს შეეხო.

**პარიზი.** დღეს დილით დიუპიუს მოლაპარაკება ჰქონდა სამხედრო და სჯულის საქმეთა მინისტრთან. მოლაპარაკების შემდეგ დიუპუი, კრანცი და ლებრე ელისეის სასახლეში წავიდნენ ლუბესთან. ამბობენ, სამხედრო მინისტრმა ბრძანება გასცა, რომ გამოძიება მოახდინოს ასსიზთა სასამართლოს წინაშე გენერალ ერვეს საქციელის შესახებაო. ჩვენების ჩამორთმევის დროს ერვეს უთქვამს, რომ დერულედს აზრად ჰქონდა აღედგინა ჯარის მიმართ ნდობა, რომელიც შერყეულ იქმნა იმის წინააღმდეგ დაწყობილ აგიტაციითაო. შეიძლება, რომ ერვეს სასტიკად მოექცნენ.


# განცხადებანი

## КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой** [...]мышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ узаконеній.**

преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ учебн[...] заведеніи**

### Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-[...] часовъ, по вечерамъ. Начало занятій— 1-е число каждаго мѣся[...]

**За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго начальст[...]**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳ[...]тика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счета[...] 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) [...]говыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 [...]дачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ [...] автора: Михайловская ул., № 71.** (100—2[...])

# РОССІЯ

## ГАЗЕТА ПОЛИТИЧЕСКАЯ и ЛИТЕРАТУРНАЯ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на ГАЗЕТУ „РОССІЯ“

| | съ пересылкою въ россія р. | к. | за границ. р. | к. | | съ пересылкою въ россія р. | к. | за границ. р. | к. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| На годъ . . . | 12 | — | 24 | — | На 6 мѣсяц. . . | 6 | 60 | 13 | 20 |
| » 11 мѣсяц. . | 11 | 10 | 22 | 20 | » 5 » . . | 5 | 70 | 11 | 40 |
| » 10 » . . | 10 | 20 | 20 | 40 | » 4 » . . | 4 | 80 | 9 | 60 |
| » 9 » . . | 9 | 30 | 18 | 60 | » 3 » . . | 3 | 90 | 7 | 80 |
| » 8 » . . | 8 | 40 | 16 | 80 | » 2 » . . | 3 | — | 6 | — |
| » 7 » . . | 7 | 50 | 15 | — | » 1 » . . | 1 | 60 | 3 | 20 |

### ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:

Въ С.-Петербургѣ, въ главной конторѣ газеты «Россія (Невскій № 86[...]

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ: для служащихъ [...]третямъ чрезъ ихъ казначеевъ; неслужащіе же могутъ обращаться съ св[...] заявленями въ С. Петербургѣ (Невскій № 86).

За перемѣну адреѣсса уплаивается 40 коп. Отдельные нумера газеты «[...]сія» продается по 6 коп.

### ПРІЕМЪ И ПЕЧАТАНІЕ ОБЪЯВЛЕНІИ:

Плата за объявленіе: впереди текста за каждую строку петита по 50 [...] позади текста по 25 коп. Контора газеты открыта ежедневно съ 10 [...] 6 чассвъ по полудни: редакція газеты открыта съ 1 часу пополудни д[...] часовъ вечера. Редакторъ принимаетъ для личныхъ объясненій ежедневн[...] 2 до 5 часовъ пополудни.

Доставляемыя въ редакцію статьи должны быть за подписью и съ адре[...] автора, безъ чего онѣ печмтаемы не будутъ. Статьи, доставляемыя безъ [...]наченія условій, оплачиваются по усмотрѣнію редакціи. Рукописи не во[...]щаются.

### ЗАВѢДУЮТЪ ОТДѢЛАМИ:

1) Финансовымъ, экономическимъ, земскимъ и крестьянскимъ: Г. П. Сазоновъ,
2) Литературнымъ и политическимъ: А. В. Амфитеатровъ.
3) Научнымъ: профессоръ П. И. Ковалевскій, dr. И. Л. Янушкевичъ.
4) Внутреннихъ вопросовъ: М. П. Петровъ.
5) Иностраньымъ: Л. Ю. Гольштейнъ.
6) Музыкальнымъ: профессоръ Н. Ѳ. Соловьевъ и Я. А. Рубинштейнъ.
7) Художественнымъ: И. Ф. Порфировъ.
8) Хроники: А. Н. Чермный.
9) Провинціальной хроники: М. В. Головинскій.
10) Театральной хроники: Ю. Д[...]ляевъ.
11) Московскимъ: В. А. Гиляро[...]

Общественный фельетонъ—по[...]ресеньямъ—Old Gentleman.

Провинціальный фельетонъ—[...]бботамъ—В. М. Дорошевичъ.

По средамъ печатается «Милліо[...] повѣсть В. Г. Авсѣенко.

Постоянный корреспондентъ в[...]рижѣ: А. П. Плетневъ.

Корреспондентъ въ спеціальной [...]дировкѣ по недороднымъ мѣстно[...] Сергѣй Печоринъ (С. А. Сафо[...]

Постоянные собственные корр[...]денты въ Вѣнѣ, Львовѣ, Вар[...] Софіи, Константинополѣ, Одессѣ[...]

(8 –[...]


Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Мая 1899 г. სტ. [illegible]) გ. ბუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ. [illegible]